განკარგულება:**g-17. 17232348**
თარიღი:**22/08/2023**

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ბორჯომის სასპორტო სკოლა“ - ის დირექტორის ანგარიში 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

“ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი”-ს საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის და 61-ე მუხლის მე-2 ქვეპუნქტის საფუძველზე

1. ცნობად იქნეს მიღებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ბორჯომის სასპორტო სკოლა“- ის დირექტორის ანგარიში 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ, თანახმად დანართისა.

2. განკარგულება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაცნობიდან 1 თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (ქ. ახალციხე მებაღიშვილის ქუჩა #60ა)

დავით ზაალიშვილი

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

წერილის ნომერი: **16-1623228115**
თარიღი: **16/08/2023**

ადრესატი: ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ დავით ზაალიშვილს

ბატონო დავით,

თქვენი N11-1623186115-16 მომართვის საფუძველზე გიგზავნით, ა(ა)იპ ბორჯომის სასპორტო სკოლის 2023 წლის კვარტალური მუშაობის შესახებ ანგარიშს, საკრებულოს სხდომაზე წარსადგენად.

პატივისცემით,

ოთარ არბოლიშვილი

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ა(ა)იპ ბორჯომის სასპორტო სკოლის 2023 წლის კვარტლური გაწეული მუშაობის ანგარიში

ა(ა)იპ ბორჯომის სასპორტო სკოლის 2023 წელს პირველი ნახევარში გაწეული შედეგები მდგომარეობს შემდეგში. კერძოდ, სასპორტო სკოლაში ფუნქციონირებს ზაფხულის 14 და ზამთრის სპორტის 6 სახეობა, სადაც წვრთვნას ეუფლება 750 მოსწავლე, სასწავლო-საწვრთნელი ვარჯიშები ტარდება, როგორც ქალაქის (#3 #6 ,,ოლიმპის'') აგრეთვე დ.ბაკურიანის, დ.ახალდაბის, ს.ყვიბისის, ს.ჭობისხევის, ს.ტაძრისისი სპორტულ ბაზებზე, რომელთა სპორტულ დაოსტატებას ემსახურება 45 მწვრთნელი აქედან 15 ზამთრის სახეების. სულ სკოლაში დასაქმებულია 67 თამნამშრომელი (ერთიხელშეკრულებით).

მიმდინარე წელს სასპორტო სკოლის მოსწავლეთა კონტინგენტით დაკომპლექტებულმა გუნდებმა იასპარეზა 107 რესპუბლიკურ, რეგიონალურ და საერთაშორისო შეჯიბრებებზე.აქეადნ ძიუ-დოში 14, ბ/რ ჭიდაობაში-11, მძლეოსნობაში-11, კრივში-4, მკლავჭიდში-6, კიკ-ბოქსინგში-7, ჭადრაკში-7, კარატეში-6, კალათბურთში-4, სამთო-სათხილამურო-1, ფეხბურთში-27 შეხვედრა (4-ასაკობრივ ჯგუფში). მოეწყო სასწავლო-საწვრთნელი შეკრება ქ.ერზურუმში (თურქეთი) ტრამლინიდან-თხილამურებით მხტომელთათვის.

მიმდინარე წელს სასპორტო სკოლის ხელმძღვანელობით, მაღალ ორგანიზებულ დონეზე ჩატარდა რესპუბლიკური ტურნირი ძიუ-დოში (გოგონებსა და ვაჟებს) შორის, ბ/რ ჭიდაობაში. დ.ახალდაბის და ქ.ბორჯომის სტადიონზე გაიმართა სამცხე-ჯავახეთის საფეხბურთო ჩემპიონატის პირველი ტურის შეხვედრები.ადგილზე ჩატარებული იქნა ქალაქის ღია პრველობა კალათბურთში, სარაგბო ფესტივალი, მრავალი ამხანაგური შეხვედრა: ფეხბურთში, ჭადრაკში, კრივსა და მკლავჭიდში. ჩატარებული იქნა რაიონის საჯარო სკოლების სპორტული ოლიმპიადა სპორტის სხვადასხვა სახეობებში.

ბორჯომის სახელით იასპარეზა 1200-მდე მოზარდმა. დაკავებული იქნა 120-ამდე სხვადასხვა საპრიზო ადგილი. გამარჯვებული და საპრიზო ადგილზე გასული სპორტსმენები დაჯილდოებულნი იქნენ ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ. რესპუბლიკის ნაკრები გუნდის შემადგენლობაში წარმატებით ასპარეზობენ სასპორტო სკოლაში აღზრდილი ბ/რ სტილის მოჭიდავეები: დ.ხაჩიძე, ბ.ჭკუასელიძე, ო.დვალაშვილი და სხვა. განსაკუთრებულ შედეგს მიაღწია ჭადრაკის სექციის მოსწავლემ ბარბარე შონიამ, იგი 10 წლამდე ასაკის გოგონებს შორის საქართველოს და საერთაშორისო ტურნირების მრავალგზის გამარჯვებულია. რესპუბლიკის ნაკრები გუნდის შემადგენლობაში ირიცხება როგორც ზამთრის ასევე ზაპხულის სპორტის სახეობების წარმომადგენლები.

ა(ა)იპ ბორჯომის სასპორტო სკოლის 2023 წლის პირველი ნახევრის ფინანსურმა მაჩვენებელმა შეადგინა: დაზუსტებული გეგმით 509840ლ (ხუთას ცხრაათას რვაას ორმოცი)ლარი. საკასო შესრულება-456107ლ (ოთხასორმოცდათექვსმეტიათას ას შვიდი)ლარი (შესრულების პროცენტი - 89%) აქედან ხელფასის: ხარჯი 277440 ლ. დარბაზის ქირა 6127ლ. ტრანსპორტის მომსახურეობა 34414ლ. სპორტული ღონისძიების ხარჯი-75135ლ. მივლინების თანხა 1352ლ.სპორტული ფორმა ინვენტარი 23700ლ. სხვა დანარჩენი ხარჯი (თასები, მედლები, სიგელები- 5000ლ. საწევრო შენატანი-6375ლ. ოფისი ხარჯი 26565ლ.

აღნიშნული შედეგები მიღწეულია ბორჯომის მუნიციპალიტეტის ხელშეწყობით, სასპორტო სკოლის ადმინისტრაციისა და მწვრთვნელების შრომის შედეგად.

ა(ა)იპ ბორჯომის სასპორტო სკოლის დირექტორი: ელიზბარ სტეფნაძე